საქართველო
ზუგდიდისმუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
„ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“

2100 ზუგდიდი. ზვიად გამსახურდიას გამზირი N1, E-mail: zugdidibotanicalgardens@gmail.comტელ:591-60-83-98; 514-17-79-79

N.69

„04“ ივნისი 2020 წელი

ბრძანება

ზუგდიდისმუნიციპალლიტეტის „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს სარგებლობაში, არსებული ქონების მართვა-განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ''საქართველოს შრომის კოდექსის'', ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი''-ს წესდების შესაბამისად.

ვბრძანებ

1. შეიქმნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-სსარგებლობაში არსებული ქონების მართვა-განკარგვის საკითხის შესწავლის, განხილვის, შესაბამისი გადაწყვეტილებების, დასკვნების, რეკომენდაციების მომზადების, საჯარო აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ზვიად ქარჩავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
- გიორგი ლაგვილავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე - კომიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ანი ვაჩეიშვილი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი, კომისიის მდივანი;
- ფრიდონ ახალაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ევგენი კუხალეიშვილი - სასაწყობე, სამეურნეო და ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიამ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის 94 დადგენილების, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით, საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. კომისია იკრიბება პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად. მორიგი სხდომის მოწყობის თარიღს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის სხდომა იმართება დღის წესრიგის მიხედვით.

5. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

7. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

8. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც- სპეციალისტები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

9. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი.

10. კომისიის გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის სხდომის ოქმში უნდა აისახოს ინფორმაცია კომისიის ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავის შეკავების, უარის თქმის სესახებ ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

11. აღნიშნული ბრძანება გასაცნობად გასაცნობად გადაეგზავნოს ყველა კონისიის წევრს.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
„ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"-ს

დირექტორი: /ზ. ქარჩავა/